ხელშეკრულება №64
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 8 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ "მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის, სოფიო ბანძავას სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს¹" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი"– პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხიარულთა და საზრიანთა გუნდის – "მაკნატუნას" სამონაწილეო თანხით (საწევრო გადასახადი) უზრუნველყოფა (კლასიფიკატორის კოდი CPV 98100000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების ვადა

მომსახურების მიწოდების ვადა – 2016 წლის 13 აპრილის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიწოდებული ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიწოდებულთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიერად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტისა და საანგარიშწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 დღეში.

5.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია – კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მოსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

გასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის ოდენობით. აღნიშნული ჯარიმა მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს შემსყიდველის შესაბამისი მიმართვიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.2. მიღებული მომსახურების ანაზღაურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.3. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს - მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს - მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
ს/ს "ლიბერთი ბანკი"–ს წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი 221274546

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისეიშვილი

მიმწოდებელი:

ააიპ "მხიარულთა და საზრიანთა კლუბი"
მის: ქ.თბილისი, ჭონქაძის ქ. 29ბ.8
ბანკი ს/ს თიბისი ბანკის ც/ფ
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE73TB7908736080100002
ს/კოდი 404418028

ხელმძღვანელი

სოფიო ბანძავა